მუსლიმი მესხების რელიგიურობის თავისებურებები
თბილისის და რუსთავის მაგალითზე

ქრისტინე მარკოზია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე რელიგიის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: რელიგიის კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფო ზვიადაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქრისტინე მარკოზია

29.06.2022

აბსტრაქტი

1944 წლის ნოემბერში საბჭოთა ჯარისკაცებმა ქართული სოფლებიდან, დღევანდელი სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან შეკრიბეს 100,000 - ზე მეტი ადამიანი და ცენტრალურ აზიაში მიმავალ მატარებელში მოათავსეს. ამის შემდეგ ეს ადამიანები გაფანტულები არიან ცენტრალური აზიის ქვეყნებში, თურქეთში, აზერბაიჯანში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებული მესხების მცირე ნაწილმა კი სამშობლოში, საქართველოში დაბრუნება მოახერხა.

ტექსტების ანალიზის და სიღრმისეული ინტერვიუს გამოყენებით, აღნიშნული ნაშრომი იქნება მცდელობა გამოიკვლიოს საქართველოში დაბრუნებული, თბილისში და რუსთავში მცხოვრები მუსლიმი მესხების რელიგიის თავისებურებები, რომლებიც ვლინდება საბჭოთა მთავრობის რელიგიის ცენზურის დროს, დღესასწაულების აღნიშვნისას, ქორწინებასთან და დაკრძალვის რიტუალთან მიმართებაში და მუსლიმი მესხი ახალგაზრდებისთვის რა როლი უჭირავს ისლამს თანამედროვეობაში. როგორია მათი ყოველდღიური რელიგიურობა დღეს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: *ისლამი, მუსლიმი მესხები, დეპორტაცია, საბჭოთა რეჟიმი, ქორწინების რიტუალი, დაკრძალვის რიტუალი, დღესასწაულები, თანამედროვეობა, ყოველდღიური რელიგიურობა.*

Abstract:

In November 1944, more than 100,000 people gathered by Soviet forces from Georgian vilages, named Samtskhe – Javakheti region and place them on a train to Central Asia. These people are then scattered in Central Asian countries, Turkey, Azerbaijan and in The United States of America. A small number of Meskhetians deported from Samtskhe-Javakheti region managed to return to their homeland, in Georgia.

Using text analysis and in-depth interviews, this paper will be an attempt to explore the peculiarities of the religion of Muslim Meskhetins returning to Georgia, living in Tbilisi and Rustavi. Revealed durin the Soviet government's censorship of religion, celebrations, marriages and funeral rites and what the role of Islam plays for Modern Meskhetian youth. How their everyday religion looks a like.

Keywords: *Islam, Muslim Meskhetians, Deportation, Soviet Union, Marrage Rites, Funeral, Celebration, Modernity, Everyday Religion.*

მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს სოფიკო ზვიადაძეს. ასევე ძალიან დიდი მადლობა კონრად ადენაუერის ფონდის, თითოეულ წარმომადგენელს, რომელთაც განიხილეს ჩემი კანდიდატურა და შემდეგ მომცეს შანსი გავმხდარიყავი 2021 – 2022 სასწავლო წლის ერთ-ერთი სტიპენდიანტი. აგრეთვე დიდი მადლობა კულტურულ ურთიერთობათა ცენტრს „კავკასიური სახლი“ უსასყიდლოდ გაცემული ლიტერატურისთვის, რაც მუსლიმ მესხებთან დაკავშირებით მოიპოვებოდა მათ ბიბლიოთეკაში.

მადლობა გამხნევებისთვის, რჩევებისთვის და თანადგომისთვის ჩემს ჯგუფელებს, განსაკუთრებით ანა კვიჭიძეს, რომელიც რესპოდენტების მოძიებაში მეხმარებოდა და 2021 წლის კურსდამთავრებულებს: თინათინ მაგრაქველიძეს, ქეთი ლაფაჩს და ლაშა მძელურს.

და რაც მთავარია, მადლობას ვუხდი იმ ადამიანებს, რომლებიც დამთანხმდნენ ინტერვიუებზე. ინტერვიუს ჩაწერის შემდეგაც, კვლევის დასრულების ბოლო წუთამდე გასცემდნენ რჩევებს და რეკომენდაციებს, რომლებიც ძალიან მჭირდებოდა ნაშრომის სრულყოფის მიზნით.